

სამხარეო ადმინისტრაცია USAID Zrda-სთან და OSCE-სთან მჭიდროდ ითანამშრომლებს

24 აპრილი 2019

შიდა ქართლის რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი USAID Zrda-ისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა. ორგანიზაციებმა ინფრასტრუქტურის, სოციალური და სოფლის მეურნეობის პროგრამების განხორციელებაზე გაამახვილეს ყურადღება. გიორგი ხოჯევანიშვილს თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობა და მათი მოსაზრებების გაზიარება საჯარო სექტორისთვის მნიშვნელოვანია.

USAID Zrda უკვე რამდენიმე წელია შიდა ქართლის რეგიონში ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. მათ შორისაა საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემისა და სათბურების მოწყობა.